სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

18/03/2026

MES 6 26 0000326039

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს ბანკის სასტიპენდიო პროგრამის განხორციელების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 03 სექტემბრის N122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ბანკსა და სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების N 0508-6 მიხედვითა და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ნანა რინკიაშვილის სამსახურებრივი ბარათის (16/03/2026წ; N316977) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი საქართველოს ბანკის სასტიპენდიო პროგრამაზე, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო საგანმანათლებლო და დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის სწავლის საფასურის დაფინანსების მიზნით;
2.საქართველოს ბანკის სასტიპენდიო პროგრამაში მონაწილეობის მიღება არ შეეძლებათ იმ სტუდენტებს, რომელთა სწავლაც დაფინანსებულია 100% -ით;
3.საქართველოს ბანკის ჯამური სასტიპენდიო თანხის მოცულობა განისაზღვროს 11 480 ლარით, ერთი სტუდენტის სწავლის დაფინანსების მაქსიმალური დარიცხული თანხა - 2812,50 ლარით (გადასახადების ჩათვლით: საშემოსავლო);
4. საქართველოს ბანკის სასტიპენდიო პროგრამის აპლიკანტი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე;
5. საქართველოს ბანკის სასტიპოენდიო პროგრამის აპლიკანტს უნდა ჰქონდეს მაღალი აკადემიური მოსწრება (GPA 3.0-4.0);

შეფასების კრიტერიუმი განისაზღვროს შემდეგნაირად:

1) აკადემიური მოსწრება (მაქსიმუმ 70 ქულა): შეფასდეს აპლიკანტის GPA.

გასაუბრების კრიტერიუმები განისაზღვროს შემდეგნაირად:

2) გასაუბრება - (მაქსიმუმ 30 ქულა):

- **კომუნიკაციის და ლოგიკური აზროვნების უნარი (მაქსიმუმ 10 ქულა)** - შეფასდეს კონკურსანტის უნარი გამოხატოს იდეები ნათლად და ეფექტურად;
- **პერსონალური მოტივაცია და მიზნები (მაქსიმუმ 10 ქულა)** - შეფასდეს კონკურსანტის მოტივაცია არჩეული სასწავლო სფეროს ან მომავალი კარიერის მიმართ;
- **ლიდერობის თვისებები (მაქსიმუმ 10 ქულა)** - მოძიებული იქნეს ლიდერული უნარების დამადასტურებელი მტკიცებულებები, წინა გამოცდილება ლიდერის როლში და როგორ გაუმკლავდნენ კონკრეტულ გამოწვევებს;

6.აპლიკანტებთან გასაუბრება ჩატარდეს 2026 წლის 25-26 მარტი;
7.დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე;
8.დაევალოს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისა და საზოგადოებრივ საქმეთა სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
9.ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ფაკულტეტებს;
10.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
11.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N41);
12.დაინტერესებულ პირებს აპლიკაციის ფორმის ნახვა შეუძლიათ უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.tesau.edu.ge განცხადებების ველში.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
ჭკადუა შალვა